ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2013

# Annual Report 2013

## ქალთა ფონდის ხედვა

ძლიერი, თანასწორუფლებიანი, აღიარებული და ბედნიერი ქალი - თავისუფალ, უსაფრთხო, სამართლიან სამყაროში.

## ქალთა ფონდის მისია

ქალთა გაძლიერება საქართველოში სოციალური ცვლილებებისათვის, ფინანსური და ტექნიკური დახმარების, უნარების განვითარების და ფემინისტური ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.

## ქალთა ფონდის პროგრამული მიმართულებები

გრანტები ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და ფიზიკური პირებისთვის;
ტექნიკური დახმარება ქალთა დამწყები ჯგუფებისთვის;
ქალთა უნარების განვითარება.




# პროექტები
# PROJECTS

1. ფრისბის გოგონათა გუნდი საქართველოში
Girls Ultimate Frisbee Team
2. გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სკოლებში
Incorporation of Gender Equality Principles
3. სპორტის მეშვეობით ქალთა დაახლოვება მათი გაძლიერების მიზნით
Formation of Women's Solidarity through Sports







*პროგრამები*

## ღია კარის საგრანტო პროგრამა / 2013

*2013 წლის განმავლობაში ღია კარის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიცა 10 გრანტი.*

### *მხარდაჭერილი პროექტები*

გრანტის მიმღები: ნუციკო ქირია
პროექტის სათაური: ფრისბის გოგონათა გუნდი საქართველოში
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე
მოთხოვნილი თანხა: 3 000 ლარი
პროექტის მიზანია *სპორტის ერთ-ერთი სახეობის, Frisbee - ს, პოპულარიზაცია საქართველოში და გოგონათა გუნდისათვის სავარჯიშო პირობების შექმნა.*

გრანტის მიმღები: იდენტობა
პროექტის სათაური: ფლეშმობი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 1 თვე
მოთხოვნილი თანხა: 1 970 დოლარი
პროექტის მიზანია *ლგბტ ადამიანების მიმართ დისკრიმინაციაზე ყურადღების გამახვილება ყოფილი პარლამენტის შენობასთან ცისარტყელა ფლეშმობის ორგანიზებით, რომელიც მოეწყობა 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს. პროექტის ფარგლებში იგეგმება 4 შეხვედრა მონაწილეებთან უსაფრთხოებასა და მშვიდობიან აქტივიზმზე; თანამშრომლობა თბილისის საპატრულო პოლიციასთან; ფლეშმობის უსაფრთხოების მოთხოვნა და უზრუნველყოფა.*

*17 მაისს აქციის ჩაშლის გამო მიღებული თანხა მოხმარდა ორგანიზაცია იდენტობის ოფისისთვის უსაფრთხოების მოწყობილობის შეძენასა და დამონტაჟებას.*

გრანტის მიმღები: ანა ლუხავა
პროექტის სათაური: მოხალისე ქალები
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 5 თვე
მოთხოვნილი თანხა: 1 867 დოლარი
პროექტის მიზანია *ქართული საზოგადოების ჰუმანურობის ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად პროექტის ავტორმა, პროფესიით რეჟისორმა, გადაწყვიტა გადაეღო ფილმი 4 მოხალისე ქალზე, რომლებიც უანგაროდ, ხშირად საზოგადოების დაცინვისა და დამცირების მიუხედავად, საკუთარი ფიზიკური თუ ფინანსური ძალების  გამოყენებით ზრუნავენ უპატრონო ძაღლებზე.*

პროექტის სათაური: ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფი
პროექტის სათაური: გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სკოლებში
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 7 თვე
მოთხოვნილი თანხა: 3 000 დოლარი
პროექტის მიზანია *მასწავლებლის სტანდარტის გაუმჯობესების მიზნით საჯარო სკოლებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:*
*1. რეგიონებსა და თბილისში მასწავლებლებთან თვისობრივი კვლევის ჩატარება;*
*2. ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისათვის გენდერული თანასწორობის ძირითად საკითხებზე.*

გრანტის მიმღები: ანა ნოზაძე
პროექტის სათაური: სპორტის მეშვეობით ქალთა დაახლოვება მათი გაძლიერების მიზნით
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე
მოთხოვნილი თანხა: 3 000 ლარი
პროექტის მიზანია *საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ სხვადასხვა პროფესიის ქალების ერთ ფეხბურთის გუნდში გაერთიანებითა და მათი გენდერულ საკითხებზე გათვითცნობიერების გზით.*

გრანტის მიმღები: კავშირი "დიოსკურია"
პროექტის სათაური: შშმ პირთა დედები ინტეგრაციისა და განვითარებისთვის
რეგიონი: სამეგრელო
პროექტის ხანგრძლივობა: 6 თვე
მოთხოვნილი თანხა: 3 000 დოლარი
პროექტის მიზანია *შშმ ბავშვებისა და მათი დედების მხარში დგომა, ამ ჯგუფის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათ წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა. შესაბამისად პროექტი გულისხმობს ფართო საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას*

გრანტის მიმღები: მკვლევარების საინიციატივო ჯგუფი
პროექტის სათაური: საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის ანალიზი
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 5 თვე
მოთხოვნილი თანხა: 3 000 დოლარი
პროექტის მიზანია *საქართველოში არსებული ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხილვა გენდერული თანასწორობის კონტექსტში, კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება და, რაც მთავარია, არსებული კანონმდებლობის დახვეწა და აღმოჩენილი ხარვეზებისა და სირთულეების წარმოჩენა. შესაბამისად პროექტი გულისხმობს კვლევის ჩატარებას, რომლის მიზანია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ოჯახში ძალადობის პრობლემის ხედვის გაანალიზება.*

გრანტის მიმღები: უკეთესი მომავლისათვის
პროექტის სათაური: დასაქმებული, რეალიზებული ქალი - ქალთა უფლებების დამცველი
რეგიონი: წეროვანის დასახლება
პროექტის ხანგრძლივობა: 3 თვე
მოთხოვნილი თანხა: 2 913 დოლარი
პროექტის მიზანია *დევნილი ქალების ცნობიერების ამაღლება ქალთა უფლებების დაცვის კუთხით, ადგილობრივი ფილანთროპიისა და სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელის შეწყობა. პროექტი გულისხმობს წეროვანში უკვე არსებული სოციალური საწარმოს (ტიხრული მინანქრის სახელოსნო) ბაზაზე 4 ქალის სწავლებას (16 გაკვეთილი), 10 ქალისთვის ტრენინგის ჩატარებას სოციალური მეწარმეობის საკითხებზე. შემდგომში საწარმო ყოველი მე-10 გაყიდული ნამუშევრიდან შემოსულ თანხას გადასცემს ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას ან ეს თანხა მოხმარდება ადგილზე ქალთა საკითხების მოგვარებას.*










# პროექტები
# PROJECTS

1. შშმ პირთა დედები ინტეგრაციისა და განვითარებისათვის
   Mothers of Persons with Disabilities for Integration and Development
2. საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონის ანალიზი
   Analysis of Georgian Law on Domestic Violence
3. დასაქმებული, რეალიზებული ქალი - ქალთა უფლებების დამცველი
   Employed, Successful Woman – Defender of Women's Rights

გრანტის მიმღები: თეონა ბექიშვილი, ნინო ბექიშვილი
პროექტის სათაური: ოლია ოკუჯავა - დავიწყებული სახელი
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 8 თვე
მოთხოვნილი თანხა: 2 630 დოლარი

*ოლია ოკუჯავას ქართული საზოგადოება იცნობს ძირითადად როგორც გალაქტიონ ტაბიძის მეუღლეს და თითქმის არაფერია ცნობილი მისი მოღვაწეობის შესახებ. ის კი იყო პოლიტიკურად აქტიური ქალი და ფემინისტი. შესაბამისად პროექტი გულისხმობს ოლია ოკუჯავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას, ბიოგრაფიული რომანის დაწერას, წიგნის გამოცემას და მოძიებული ფოტომასალის გამოფენის მოწყობას. რომანი გამოიცემა საქართველოს მწერალთა სახლისა და თბილისის მერიის ხელშეწყობით. საგრანტო თანხა მოხმარდება პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს - არქივში მასალების მოძიება, რედაქტირება.*

გრანტის მიმღები: თამთა მელაშვილი
პროექტის სათაური: ადგილები, ისტორიები: ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში
რეგიონი: თბილისი
პროექტის ხანგრძლივობა: 4 თვე
მოთხოვნილი თანხა: 1 728 დოლარი

*პროექტი ითვალისწინებს ოცი ფოტოისტორიის შექმნას, რომელიც ასახავს იმ საჯარო სივრცეს/ადგილს, სადაც ფემინისტი აქტივისტები მართავდნენ სხვადასხვა სახის საჯარო ღონისძიებებს. (თბილისი, ქუთაისი, სამტრედია, ჭიათურა და გორი). ფოტოებში წარმოდგენილი იქნება ამ ადგილებისა თუ სივრცეების დღევანდელი იერ-სახე, თითოეულს დაერთვება მცირე ისტორია თუ რას წარმოადგენდა ეს ადგილი ადრე და რას წარმოადგენს ახლა. გაკეთდება ბლოგი, სადაც აიტვირთება ფოტოები ისტორიებითურთ (ქართულ და ინგლისურ ენაზე) და გავრცელდება ინტერნეტში. ფოტო-ისტორიების პრეზენტაცია მოეწყობა 8 მარტს. პროექტი ერთგვარი მცდელობა იქნება წვლილი შეიტანოს საქართველოში ფემინისტური აქტივიზმის ისტორიის შედგენასა თუ რეპრეზენტაციაში.*

## სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამა / *2013*

*2013 წლის განმავლობაში სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიცა 3 გრანტი.*

### *მხარდაჭერილი პროექტები*

გრანტის მიმღები: ავანგარდი
რეგიონი: აფხაზეთი, გალი
პროექტის სათაური: უსაფრთხოების დაცვა კრიზისულ ცენტრში
საგრანტო თანხა: 2000 დოლარი
*2007 წლიდან გალში პროექტის ფარგლებში "პრევენცია და რეაგირება სექსუალურ ძალადობაზე აღმოსავლეთ აფხაზეთში" ფუნქციონირებს კრიზისული ცენტრი, რომელიც განთავსებულია ორგანიზაციის ოფისში მე-2 სართულზე. მაგრამ არ არის სველი წერტილები და ქალებს უწევთ ეზოში გასვლა, რაც დაუშვებელია უსაფრთხოების კუთხით. შესაბამისად პროექტის მიზანია სველი წერტილების მოწყობა შენობაში.*

გრანტის მიმღები: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
რეგიონი: თბილისი
პროექტის სათაური: სასწრაფო მხარდაჭერა
საგრანტო თანხა: 2000 დოლარი
პროექტის მიზანია *ლგბტ აქტივისტებისა და მათი მხარდამჭერების უსაფრთხოების დაცვა და მათთვის პირველადი სამედიცინო-ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა.*

გრანტის მიმღები: ქალები თავისუფლებისთვის
რეგიონი: თბილისი
პროექტის სათაური: აივ ინფიცირებული ქალების მხარდაჭერა
საგრანტო თანხა: 2000 დოლარი
პროექტის მიზანია *ქალთა უფლებების დაცვა, კონკრეტულად კი აივ პოზიტიური ქალების. შესაბამისად პროექტი გულისხმობს ფართო საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას (დისკუსია - შეხვედრები, პრეს-კონფერენციები, აქციები და სხვა).*

## საგრანტო პროგრამა "ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა"/ *2013*

2013 წელს ქალთა ფონდმა დაასრულა საგრანტო პროგრამაზე "ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა" მუშაობა. პროგრამის ფარგლებში ფონდმა მხარი დაუჭირა ქალთა ისეთი ინიციატივებს, რომელიც საქართველოში ქალთა მიმართ პოლიტიკის, პრაქტიკის, შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შეცვლას, ქალთა უფლებების დაცვას, არადისკრიმინაციული კულტურის დანერგვასა და გენდერული თანასწორობის მიღწევას ისახავდა მიზნად.

2012-2013 წლებში საგრანტო პროგრამის "ქალთა უფლებების დაცვის კულტურის დანერგვა" ფარგლებში გაიცა **20 გრანტი**, აქედან 10 გრანტი განხორციელდა 2013 წლის განმავლობაში.

## ქალთა ფონდის ინსტიტუციური განვითარება / *2013*

2013 წლის ივნის-ივლისში, ქალთა ფონდის თანამშრომლებმა გაიარეს ორგანიზაციული ქოუჩინგის კურსი, რომელიც კრისტინ კაამანმა, "ქოაჩ თბილისის" წარმომადგენელმა ჩაატარა.

ქოუჩინგის 6 სესიის განმავლობაში კრისტინი და ქალთა ფონდის გუნდი ერთად მუშაობდნენ ორგანიზაციის მიზნების მიღწევის გზების დახვეწაზე. კრისტინის პროფესიონალიზმი და საქმისადმი გულითადი დამოკიდებულება ქალთა ფონდის წევრებს დაეხმარა შეედგინათ დეტალური სამოქმედო გეგმა ფონდის წარმატებული საქმიანობისათვის 2013-2015 წლებში.

# პროექტები / PROJECTS

1. ადგილები, ისტორიები: ფემინისტური აქტივიზმი საქართველოში
   Places, Herstories: Feminist Activism in Georgia
2. ფანდრაიზინგის ღონისძიება "Karaoke Party"
   Fundraising event - "Karaoke Party"
3. საქველმოქმედო წვეულება - ახალსახლობა
   WFG's House Warming Party










## ქალთა ფონდის პიარ და ფანდრაიზინგის ღონისძიებები / 2013

ადგილობრივი ფილანთროპიის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ქალთა ფონდის ორგანიზებით წლის განმავლობაში არაერთი ფანდრაიზინგ ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის, მოეწყო „Karaoke Party", ქალთა ფონდის შეხვედრა გრანტის მიმღებებთან და მხარდამჭერებთან ახალ ოფისში გადასვლასთან დაკავშირებით, მოეწყო ორი საქველმოქმედო ფილმის ჩვენება: პირველი ჩვენება ქალთა ფონდმა "გეოეართან" და "იდენტობასთან" თანამშრომლობით გამართა, ნაჩვენები იყო ორი ფილმი და მოეწყო დისკუსია გეოეარის რეზიდენტ დიანა მაკკარტისთან. მეორე კინოჩვენება-დისკუსია ევროპის სახლში გაიმართა, სტუმრებს საშუალება მიეცათ ენახათ რუსუდან ჭყონიას გახმაურებული ფილმი "გაიღიმეთ", ასევე შეხვედროდნენ ფილმის რეჟისორს და მონაწილეობა მიეღოთ საინტერესო დისკუსიაში. ქალთა ფონდის ორგანიზებით მოეწყო საქველმოქმედო კონცერტი ჯგუფთან ერთად - Z for Zulu, Plus One Fetsival-თან თანამშრომლობით ჩატარდა მათი მუსიკალური ფესტივალი, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის და გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა.

ქალთა ფონდის მხარდამჭერმა და ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წევრმა ბაია პატარაიამ მოაწყო დაბადების დღის წვეულება, სადაც საჩუქრების ნაცვლად შემოწირულობები მიიღო ქალთა ფონდის საგრანტო პროგრამისთვის. ფონდის ყოფილმა თანამშრომელმა, მარიამ გაგოშაშვილმა კი თავისი დაბადების დღის წვეულება გენდერულ თანასწორობას მიუძღვნა და ასევე ფონდისთვის შემოწირულობები მიიღო საჩუქრად. გარდა ამისა, ქალთა ფონდმა კიდევ რამდენიმე საქველმოქმედო საღამო გამართა, მათ შორის "ინდური წვეულება", სადაც სტუმრებს საშუალება მიეცათ ესიამოვნათ ინდური მუსიკით, გაესინჯათ ინდური სამზარეულო და სხეული ინდური ბოდი-არტით გაელამაზებინათ, რაც მთვარისა ჯორსმა შეასრულა; მეკობრეთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო "მეკობრეების წვეულება", რომელიც ცნობილ მეკობრე ქალებს ანა ბონის და მერი რიდს მიეძღვნათ; ასევე მოეწყო საქველმოქმედო საღამო "ჩაის მიღმა" სადაც მოწვეული იყო ფილოლოგიის დოქტორი, ქალბატონი მზია ბურჯანაძე, რომელმაც ირანულ ლიტერატურაში ირანელი ქალი მწერლების როლზე და მათ შემოქმედებაზე ისაუბრა.

ქალთა ფონდმა ფრისბის გოგონათა გუნდთან Dragonflies ერთად წამოიწყო ფანდრაიზინგ კამპანია - ქალები იმარჯვებენ! ფრისბის გოგონათა გუნდმა ქალთა ფონდის მხარდასაჭერად საქველმოქმედო თამაში გამართა, რომელშიც მონაწილეობის მსურველებმა ქალთა ფონდის საგრანტო ბიუჯეტისთვის შემოწირულობები გაიღეს.

# ცნობიერების ამაღლების კამპანია "ქალთა უფლებები – ხელოვნება მოქმედებაში"

ქალთა ფონდი ხელოვნებას იყენებს, როგორც ძლიერ საშუალებას საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და აქტიურად თანამშრომლობს ხელოვანებთან. ფონდს თავის პიარ და ფანდრაიზინგის კამპანიებში ხელოვნების გამოყენების დიდი ხნის გამოცდილება აქვს. 2013 წელს, ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით, მან განახორციელა პროექტი "ქალთა უფლებები - ხელოვნება მოქმედებაში" რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერებისა და მგრძნობელობის ამაღლებას ქალთა უფლებების, ქალთა მიღწევების მიმართ, საზგადოების ყურადღების გამახვილებას იმ პრობლემებზე, რაც ქალებს დღესაც აქვთ როგორც საქართველოში, ისე გლობალურად. პროექტმა საშუალება მისცა ფონდს ეთანამშრომლა ქალ ხელოვანებთან და კამპანიით საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინა ქალთა საერთაშორისო დღეზე (8 მარტი), და ვი-დღეზე (14 თებერვალი).

პროექტის ფარგლებში მოეწყო ქალი ხელოვანების გამოფენა "ავტო ნომოს", ქუჩის პერფორმანსები "მილიონი ამბოხებულის ცეკვა" და "გაწყვიტე ჯაჭვი" მომზადდა დოკუმენტური ფილმი "ქალთა უთქმელი ისტორიები".

გამოფენა მოეწყო გალერეაში "არტ ავენიუ" (17-იდან  24 თებერვლამდე) და მასში მონაწილეობა მიიღო 15 ხელოვანმა ქალმა. ქუჩის პერფორმანსები გაიმართა რუსთაველის მეტროს წინ (14 თებერვალს) და ყოფილი პარლამენტის შენობის წინ (16 თებერვალს). საგანგებო ღონისძიება "ქალთა მოძრაობა და სოციალური ცვლილებები" გაიმართა გალერეაში "არტ ავენიუ" 8 მარტს, სადაც ნაჩვენები იყო პროექტის ფარგლებში მომზადებული ფილმი "ქალთა უთქმელი ისტორიები" და გაიმართა დისკუსია.

კამპანიის უმთავრესი შედეგი იყო ფონდის წარმატებული თანამშრომლობა ქალ არტისტებთან, მკვლევარებთან და ქალთა უფლებათა აქტივისტებთან, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქალთა საერთაშორისო დღისა და ვი-დღისადმი, საზოგადოების ჩართვა ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

# კატო მიქელაძის პრემია ქალთა უფლებების დამცველებისათვის

ქალთა ფონდმა საქართველოში, ქალთა უფლებების დამცველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დააწესა "კატო მიქელაძის სახელობის პრემია" რომელსაც იგი ყოველწლიურად, 29 ნოემბერს, გადასცემს ქალთა უფლებების დამცველ ერთ აქტივისტს საქართველოში.

კატო მიქელაძე მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ფემინისტი, აქტივისტი და პუბლიცისტი იყო, ქართული სუფრაჟიზმის ფუძემდებელი და თავდადებული მებრძოლი ქალთა ემანსიპაციის მისაღწევად.

კატო მიქელაძის პრემია გადაეცემა ქალთა უფლებების დამცველს, რომელიც ნომინირებული იქნება ქალთა ფონდის საგრანტო პროგრამების გრანტის მიმღებთა შორის და გამოვლენილი ქალთა ფონდის დირექტორთა და მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ ხმათაუმრავლესობით.

2013 წელს ქალთა ფონდმა პრემიის ნომინაციაზე წარსადგენად შეარჩია ფონდის "სწრაფი რეაგირების საგრანტო პროგრამის" გრანტის მიმღებთაგან სამი აქტივისტი: ეკატერინე აღდგომელაშვილი, მეგი ბიბილური, თინათინ მესხი.

ქალთა ფონდის დირექტორთა და მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით კატო მიქელაძის პრემიის პირველი მფლობელი გახდა ეკატერინე აღდგომელაშვილი, რომელსაც  თავისი დაულალავი, უკომპრომისო და თავდაუზოგავი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქალთა უფლებების დაცვის საქმეში საქართველოში. კატო მიქელაძის პრემიის გამარჯვებულის საზეიმო დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 2013 წლის 29 ნოემბერს, კაფეში "ფრონტლაინი".







## პროექტები / PROJECTS

1. საქველმოქმედო კინოჩვენება და დისკუსია
   Fundraising Event, Movie Screening and Discussion
2. Keep Smiling - საქველმოქმედო კინოჩვენება-დისკუსია
   Fundraising Event, Keep Smiling - Movie Screening
   And Discussion
3. Z for Zulu ქალთა უფლებებისთვის
   Z for Zulu for Women`s Rights




## ქალთა ფონდის პროექტი "შეუზღუდავი შესაძლებლობები"

ქალთა ფონდმა გეოართთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი "შეუზღუდავი შესაძლებლობები" - ფანდრაიზინგის კამპანია, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ მხატვრები, მოქანდაკეები, ფოტოგრაფები და თავიანთი ნამუშევრები შემოგვწირეს გამოფენა-გაყიდვისთვის, რომელიც გაიმართა 2013 წლის 20 დეკემბერს, ექსპო-ჯორჯიაში.

კამპანიის ფარგლებში შეგროვილმა თანხამ სულ შეადგინა 5,806 ლარი. თანხა სრულად მოხმარდა შშმ ქალთა პრობლემებს, კერძოდ, 2014 წლის თებერვალში პროექტის ბენეფიციარებმა ფონდს მიმართეს საგრანტო განაცხადებით, რომელიც ეხებოდა მათ პროფესიულ განვითარებას და ამდენად, მათ შემდგომ დასაქმებას. პროექტის ფარგლებში გაიცა 3 ინდივიდუალური გრანტი:

ნანა სამუშია, საგრანტო თანხა 2,500 ლარი. ნანა დიზაინერია და მას გრანტით მიეცა შესაძლებლობა შეექმნა ნამუშევრები თავის ესკიზების მიხედვით და მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდა დიზაინერების კონკურსში. ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მისი პროფესიული ზრდისთვის.

მარინა გოგობერიშვილი, საგრანტო თანხა 1,990 ლარი. მარინა აპირებს გაიაროს პროფესიული მომზადების კურსები კოსმეტოლოგიაში, რათა შემდგომში გახსნას სალონი თავის სახლში.

ჯუნა გოდიშვილი, საგრანტო თანხა, 1,315 ლარი. ჯუნას საშუალება ეძლევა ისწავლოს ინგლისური, გაიაროს შესაბამისი კურსი, რათა შემდგომ კერძო გაკვეთილები მისცეს მოსწავლეებს თავის სამეზობლოში.

ქალთა ფონდი იმედოვნებს, რომ "შეუზღუდავი შესაძლებლობები", როგორც წარმატებული და ინოვაციური ინიციატივა გაგრძელდება სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებით. ბლოგი, რომელიც ამ შემთხვევისთვის შეიქმნა სამომავლოდაც ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდასაჭერ სივრცედ დარჩება. ქალთა ფონდი იზრუნებს, ახალი, საინტერესო ფილანთროპიული ინიციატივების განხორციელებაზე. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ქალთა საერთაშორისო ასოციაცია, ექსპო-ჯორჯია, არტარეა და შატო მუხრანი.

# ქალთა ფონდის გუნდი

## დირექტორთა საბჭო

ნანა ფანცულაია
ასმათ ბეშიძე
მაკა ლომაძე
ნანა შუღლაძე

## შტატი

ნანა ფანცულაია - აღმასრულებელი დირექტორი
ეკატერინე გეჯაძე - პროგრამის კოორდინატორი
ბელიკო ვედიაშვილი - ეკონომიკური პროგრამის კოორდინატორი
ანა ჭილაძე - გრანტების მენეჯერი
მაგდა ბერძენიშვილი - ბუღალტერი
ია ქაჯაია - ოფისის მენეჯერი
თამარ თარხან-მოურავი - ფანდრაიზერი

# დონორები და პარტნიორები




# პროექტები
# PROJECTS

1. საქველმოქმედო წვეულება, მარიამის დაბადების დღე
Fundraising Event, Mariam`s Birthday Party
2. ინდური საქველმოქმედო წვეულება
Fundraising Event, Indian Party
3. საქველმოქმედო წვეულება “Pirate Party”
Fundraising Event, Pirate Party







## ინდივიდუალური დონორები

ლოლა პეტროვა
თინათინ ჯაფარიძე
თამარა ბოკუჩავა
მაკა ნოსელიძე
ანა ხმალაძე
სოფო ნემსიწვერიძე
გიორგი კორაშვილი
ელენე ჭკუასელი
შელი როულენდს
თეა კიკვაძე
ნინი ფალავანდიშვილი
ნინო ჩუბინიშვილი
ყარამან ქუთათელაძე
მაკა ბატიაშვილი
ია ბახტაძე
ლუკა აქიმიძე
ეკატერინე მონიავა
სოფო ლაპიაშვილი
მამუკა ჯაფარიძე
კოტე კაკაბაძე
კოტე სულაბერიძე
пяпю
გიორგი მასხარაშვილი
ლალი ქუთათელაძე
დათო კუხალაშვილი
ქრისტინე კაკაბაძე
ლიკა კაჭარავა
თათია დარჩიაშვილი
თამარ ბოჭორიშვილი
მარიამ სიჭინავა
იური მეჩითოვი
ლუიზა ლაფერაძე
ნანა შეოლაძე
ასმათ ბეშიძე
ლიკა თარხან-მოურავი
სანდრა ლუბინკოვიჩი
ანჟელიკა არუთუნოვა
დუენ ნიდჰამი
მარკეტა პრონკოვა
ტორი ჯეიკობსი
ანა კირეი
რეიჩელ პამფსი
აისტე ბრაკი
ქელი კოტლინსკი ვერდადე
ქილი თონგეითი
მარტა დრური
მელისა პოტერი
ბეატე ვინკე
ქრისტენ დობსონი
ელენ გალანდი
მირიამ შაერი
ბაია პატარაია
სოფო ტაბატაძე
ლაშა ქავთარაძე
სოფო ვასაძე
სანდრო კოზმანიშვილი
დათო აბაშვილი
ერეკლე დეისაძე
გუგა გეგეჭკორი
დათო გაბუნია
გიო მეგრელიშვილი
კახა აბაშიძე
გიორგი კაჭარავა
ნუნუ ბენდუქიძე
Kუნგ Fუ ჟუნკიე
ნანა ჯანაშია
სოფო ფრუიძე
მაია ჯიქია
ლია ჯაყელი
ქეთი ჩაჩანიძე
მაია ბარქაია
მარი დიხამინჯია
მამუკა გოდერძიშვილი
ანა ლომთაძე
პერი შერაუსი
თათა ცოფურაშვილი
ნარგიზა არჯევანიძე
ნინო გოგოჭური
მეგი გოგიტიძე
შოთა ხინჩაგაშვილი
ჰულია საქარია
ეკატერინე გეჯაძე
თენგიზ ჭაავა
ბაია ნიქორიძე
ნინო ეკიზაშვილი
ლოის მაკკულენ პარი,
პასტორი
ნადინ მაუვადი
ნიკი მაქინტაირი
ტომ პასკო
ფიონა მაქქორმაკი
მანანა სირაძე
ლალი სტურუა
ეკა მანჯგალაძე
ალექს შულეშოვი
ია არველაძე
თამარ ნარიმანიძე
ნინო ბუჭულაძე
მაკა კერესელიძე
ზურა ხარბედია
შოთა პატარაია
ანა მარგიშვილი
ალა ტატიშვილი
მანანა კაიშაური
ეკა ალდგომელაშვილი
ლიკა ბარაბაძე
ლამია გაფაროვა
თათია გულორდავა
ტუკო გოგინავა
ნათია გვიანიშვილი
გიორგი გაბუნია
თამარა გობირონიძე
ვერიკო გამზარდია
გვანცა დეისაძე
იან ვილკენი
კატლინ ვან დერ ველდე
მარაიკე ვენცელი
პიტერ კაბაჩნიკი
თამთა მელაშვილი
ანიკა ტიზლიარიშვილი
ნინო შანიძე
ქეთა ჩხეიძე
სალომე ცოფურაშვილი
ნინო ხარჩილავა
თათული წერეთელი
სალომე სალარაძე
პაატა საბელაშვილი
ლევან ბარამიძე
ნიკა თარხან-მოურავი
ეკა იმერლიშვილი
გიორგი კიკონიშვილი
მანანა კაიშაური
გიორგი ლანჩავა
ალექსანდრე მიშველიძე
ნინო ქერქაძე
დავით მიხეილ შუბლაძე
ვასო ხუციშვილი
გიორგი ჩინჩალაძე
ნატა ძველიშვილი
რატი ჭკადუა
მანანა ჯავახიძე
რუსო ჯავახიშვილი
ვატო ჯორკოშვილი
ანონიმური
ნატალია ლაზარაშვილი
სალომე კოშკაძე
ეკა მახათაძე
ელენე კაკაბაძე
ნანა ამაშუკელი
ნანა ფანცულაია
იდა ბახტურიძე
შორენა ძოწენიძე
ეთუნა ნოღაიდელი
ლიზი ხარაბაძე



ორგანიზაცია "ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის "პროექტი ქალთაველოკლუბი"
"WE, FOR HEALTHY FUTURE" WOMEN CYCLISTS CLUB

# ფინანსური ანგარიში 2013

## ფინანსური ანგარიშგება

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ლარში



Crowe Horwath.

Member Crowe Horwath International

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | შენიშვნა | 31-დეკ-13 | 31-დეკ-12 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და მისი ეკვივალენტები | 3 | 252.795 | 201.765 |
| დონორებისაგან მისაღები გრანტები | 4 | - | 194,324 |
| მოთხოვნები ქვეგრანტორების მიმართ | 5 | 281.543 | 314.664 |
| სხვა მოთხოვნები | | 104 | 134 |
| ძირითადი საშუალებები | 6 | 9.963 | 8.914 |
| **სულ აქტივები** | | 544.406 | 719.801 |
| | | | |
| **ვალდებულებები და წმინდა აქტივები** | | | |
| **ვალდებულებები** | | | |
| გადასახდელი გადასახადები | | 455 | 455 |
| სხვა ვალდებულებები | | 2.257 | 3.001 |
| გადავადებული საგრანტო შემოსავალი | 7 | 518.523 | 703.590 |
| **სულ ვალდებულებები** | | 521.235 | 707.046 |
| | | | |
| **წმინდა აქტივები** | | | |
| შეუზღუდავი წმინდა აქტივები | | 23.170 | 12.755 |
| **სულ წმინდა აქტივები** | | 23.170 | 12.755 |
| **სულ აქტივები და ვალდებულებები** | | 544.406 | 719.801 |

| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება | 31-დეკ-13 | 31-დეკ-12 |
|---|---|---|
| **გრანტებიდან მიღებული დაფინანსება** | | |
| ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველო | 500 | - |
| მამა ქეში | 96.342 | 109.444 |
| ქალთა გლობალური ფონდი | 38.049 | 29.460 |
| ფილია | - | 4.641 |
| აშშ-ს საელჩო საქართველოში | 4.187 | - |
| ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო | 13.578 | - |
| ასოციაცია ხალხი საფრთხეში | 13 | 2.250 |
| ქალთა ფონდების ქსელი | - | 2.225 |
| სწრაფი მოქმედების ფონდი | 10.788 | 9.926 |
| ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო | 80.770 | 261.213 |
| ფონდი ოუქი | 92.241 | 96.441 |
| სლოვაკურ-ჩეხური ქალთა ფონდი | 1.656 | - |
| კოლუმბიის კოლეჯის ჩიკაგოს ცენტრი "წიგნები და სახვითი ხელოვნება" | - | 4.095 |
| ბულგარეთის ფონდი ქალებისთვის | - | 1.279 |
| **სულ შემოსავლები გრანტებიდან** | 338.124 | 520.974 |
| **სხვა შემოსავლები** | | |
| ინდივიდუალური შემოწირულობები | 7.476 | 1.600 |
| საბანკო ნაშთებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი | 2.764 | 4.776 |
| **გაცემული ქვეგრანტების და საოპერაციო ხარჯი** | | |
| ქვე-გრანტების ხარჯები | 163.446 | 184.291 |
| ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | 184.670 | 338.283 |
| **სულ გაცემული ქვეგრანტების და საოპერაციო ხარჯი** | 348.116 | 522.574 |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი) | 10.168 | (16.856) |
| **შეუზღუდავი წმინდა აქტივების (შემცირება)/ზრდა** | 10.415 | (12.080) |
| **წმინდა აქტივები წლის დასაწყისისთვის** | 12.755 | 24.835 |
| **წმინდა აქტივები წლის ბოლოსთვის** | 23.170 | 12.755 |









# პროექტები
# PROJECTS

1. საქველმოქმედო საღამო "ჩადრს მიღმა"
   Fundraising Event, Beyond the Chador
2. საქაველმოქმედო კამპანია "ქალები იმარჯვებენ"
   Fundraising Campaign - “Women Win”
3. საქველმოქმედო გამოფენა “Auto Nomos”
   Exhibition-sale “Auto Nomos”

| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 31-დეკ-13 | 31-დეკ-12 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| დონორებისგან მიღებული დაფინანსება | 348.432 | 645.573 |
| მიღებული შემოწირულობა | 7.475 | 6.877 |
| გაცემული გრანტები | (130.325) | (185.474) |
| საოპერაციო ხარჯები | (181.625) | (324.105) |
| წმინდა ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან | 43.957 | 142.871 |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | (5.022) | (1.218) |
| წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან | (5.022) | (1.218) |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან | | |
| მიღებული პროცენტი | 2.764 | 4.778 |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან | 2.764 | 4.778 |
| წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში | 41.699 | 146.431 |
| ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში | 201.765 | 62.501 |
| საკურსო სხვაობა | 9.331 | (7.167) |
| ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს | 252.795 | 201.765 |

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

2013